




ცვლილება მეთოდურ მითითებაში

შინაარსი

- ვირტუალური ზონის პირის მოგების გადასახადით დაბეგვრა
- თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს შესახებ
- დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ



ვირტუალური ზონის პირის მოგების გადასახადით დაბეგვრა

2023 წლის 16 იანვარს გამოქვეყნდა შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება N33544, ვირტუალური ზონის პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე, რის საფუძველზეც ძალადაკარგულად გამოცხადდა იქამდე არსებული შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 25 მარტის N7547 ბრძანება „ვირტუალური ზონის პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის თაობაზე მეთოდური მითითების დამტკიცების შესახებ“.

განახლებული მეთოდური მითითება შეიცავს ახალ მაგალითებს ვირტუალური ზონის პირის საქმიანობასთან დაკავშირებულ ოპერაციებთან და საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებით.

ახალი საილუსტრაციო მაგალითები დემონსტრირებას უკეთებს შემოსავლების სამსახურის მიერ შემუშავებულ საგადასახადო დაბეგვრის მიდგომებს. ამასთან, განახლებულ მეთოდურ მითითებაში მოცემულია უფრო მეტი საილუსტრაციო მაგალითი მეთოდური მითითების ძველ ვერსიასთან შედარებით და მეტ საკითხს ეხება.

ახალი მაგალითებით განიმარტა და დაზუსტდა ტერმინები და საკითხები, რომელიც მნიშვნელოვანია ვირტუალური ზონის პირის საქმიანობის საგადასახადო დაბეგვრის მიზნებისთვის, როგორცაა, მაგალითად „პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტი“, „საინფორმაციო ტექნოლოგიური საქმიანობა“ და სხვა.


ამასთან, განახლებულმა მეთოდურმა მითითებამ პასუხი გასცა ვირტუალური ზონის პირის საგადასახადო დაბეგვრის შესახებ ისეთ კითხვებს, რომლებიც მანამდე ხშირად დაისმებოდა და პასუხი არ არსებობდა. მაგალითად, ასეთია იმ შემთხვევის განხილვა, როდესაც ვირტუალური ზონის სტატუსის მიღების შემდეგ ხდება მანამდე მიწოდებული პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტის მხარდაჭერის მომსახურების გაწევა. მაგალითით განისაზღვრა, რომ ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მიღებამდე შექმნილ პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტთან დაკავშირებით იურიდიული პირის მიერ სტატუსის მიღების შემდგომ საქართველოს ფარგლებს გარეთ მიწოდებული საინფორმაციო ტექნოლოგიების სანაცვლოდ მიღებულ მოგებაზეც გავრცელდება კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჟ“ ქვეპუნქტით დადგენილი საგადასახადო შეღავათი, რადგან ეს მომსახურება პროგრამული უზრუნველყოფის დროებით სარგებლობაში გადაცემის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.





ასევე, განხილულია ამ სფეროს წარმომადგენლებისთვის საინტერესო სხვა საკითხებიც, კერძოდ, როგორ განიხილება დაქირავებით შრომასთან ერთად მომსახურების გამოყენების, დამფუძნებლის მიერ პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტის შექმნის შემთხვევები და სხვა.

მეთოდური მითითება ძალაშია 2022 წლის 30 დეკემბრიდან.



თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს შესახებ

2023 წლის 16 იანვარს გამოქვეყნდა შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება N33543, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს შესახებ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე. აღნიშნული მეთოდური მითითება განმარტავს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს საქმიანობის წესებს, მათ შორის, ნებადართული და აკრძალული საქმიანობის, საგადასახადო შეღავათით სარგებლობის წესებს, აგრეთვე, განსაზღვრავს ამ სტატუსის ფარგლებში საგადასახადო ვალდებულებებსა და უფლებებს. „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა არის საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული თავისუფალი ზონის სახეობა, სადაც მოქმედებს დამატებითი პირობები და საგადასახადო შეღავათები. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო შეიძლება იყოს ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმის საწარმო, რომელიც რეგისტრირებულია თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საწარმოთა რეგისტრაციის ნორმების შესაბამისად.

აღნიშნულ მეთოდურ მითითებაში წარმოდგენილია სხვადასხვა საილუსტრაციო მაგალითი, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული წესების სწორად გამოყენებას, კერძოდ, თიზ-ის საწარმოს მოგების გადასახადით, ქონების გადასახადით და თიზ-ის საწარმოდან მიღებული შემოსავლების გადახდის წყაროსთან დაბეგვრის სისწორეს. ასევე, განხილულია აკრძალვები თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოსთვის და თიზ-ის საწარმოს მიერ საქონლის მიწოდების/საქონლის შექმნის შემთხვევებიც.

მეთოდური მითითება ძალაშია 2022 წლის 30 დეკემბრიდან.





დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ

2023 წლის 20 იანვარს გამოქვეყნდა შემოსავლების სამსახურის უფროსის 12 იანვრის ბრძანება N207, რომლითაც ცვლილება შევიდა შემოსავლების სამსახურის უფროსის 2021 წლის 17 მარტის №7536 ბრძანებაში დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე.

ცვლილების თანახმად, აღნიშნული მეთოდური მითითების მე-9 დანართის მე-2 ნაწილს, რომელიც ეხება საქონლის ფაქტობრივ გადაცემას იჯარის, ლიზინგის ან მსგავსი ხელშეკრულებით, დაემატა ახალი №6 მაგალითი. ეს მაგალითი არეგულირებს ლიზინგის საგნის მიმღები მხარის ჩანაცვლების შემთხვევაში საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის საკითხს დღგ-ით დაბეგვრის მიზნებისთვის. აღნიშნული საკითხი წარმოშობს პირვანდელ მიმღებთან კორექტირების ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის ვალდებულებას და ახალი მიმღები მხარისთვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის შესაძლებლობას.

მეთოდური მითითება ძალაშია 2023 წლის 13 იანვრიდან.



ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიხლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა ეხება ცვლილებებს მეთოდურ მითითებებში საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ვირტუალური ზონის პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის თემაზე.

მარიამ ხუსკვიადე
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
ME nukidze@bdo.ge

► ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

შპს ბიდიო საქართველო არის საქართველოში რეგისტრირებული შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შებენიერი კომპანიის – “ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის” წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში. ბიდიო არის საერთო სასაქონლო ნიშანი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.